საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერაძე ჯუმბერ ვიქტორის ძე

ბერაძე ჯუმბერ ვიქტორის ძე (დ. 22. VII. 1944, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1981). 1970 დაამთავრა თბილ. სას.-სამ. ინ-ტის (ახლანდ. საქართვ. აგრარული უნ-ტი) ტექნოლოგიის ფაკ-ტი.

1958-იდან ცეკვავდა თბილ. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ხელმძღვ. გ. დარახველიძე). 1962–82 მუშაობდა საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლში. ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში „ყაზბეგური“, „ფარიკაობა“, „მხედრული“, „ხანჯლური“, „შეჯიბრი“ და სხვ.

ბ-ის შესრულება გამოირჩეოდა მაღალი კულტურით, დახვეწილი ტექნიკითა და ტემპერამენტით. 1982–85 იყო საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის გენ. დირექტორის მოადგილე, 1985 – 86 – საქართვ. კულტ. სამინისტროს რესპ. გაერთიანება „საქატრაქციონის“ დირექტორი, 1986–87 – საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მთავარი რეჟისორი. 1987-იდან იყო ფირმა „მელოდიის“ თბილ. განყ-ბის დირექტორი.

2019 აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.